ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3845570

ნომერი: AR1578307

თარიღი : 19.02.2018

გაცემის თარიღი : 01.03.2018

გაცნობის თარიღი : 01.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი 3 , კორპუსი 12 , მიმდებარედ (ნაკვეთი 05/033); ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი III , 151-ე ბაგა-ბაღის მიმდებარედ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ზიბზიბაძე პ/ნ 28001028046
- დიღმის მას., V კვ., კორ., №17, ბ.№44

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №3597534
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 9.10.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 19 თებერვლის AR1578307 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ვაჟა შუშანაშვილის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა ან ვაჟა შუშანაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

დასრულებულ იქნას მოსაპირკეთებელი სამუშაოები და მოხსნილ იქნას სარეკლამო აბრები;

შესრულებული სამუშაოები (დასრულებული მოსაპირკეთებელი სამუშაოები და მოხსნილი სარეკლამო აბრები) ასახულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაბამის აქტში. განაახლეთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.